ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრის“ მიერ ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების (CPV კოდი 85100000) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № 1

ქ. თბილისი 26.02.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

შოთა გოგიჩაიშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი;

მზია ნიკოლაიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, მთავარი ეკონომისტი;

ოთარ კიკვაძე – სატენდერო კომისიის წევრი, შესყიდვების მენეჯერი;

თამარ ჩაჩხუნაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვების სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ 2018 წლის შესყიდვების გეგმით (დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები) გათვალისწინებული **ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების (CPV კოდი 85100000)** შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, დაზუსტება და დამტკიცება.

განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა თამარ ჩაჩხუნაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ 2018 წლის შესყიდვების გეგმით (დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები) გათვალისწინებულია **ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების (კერძოდ: ენდოსკოპიური კვლევებისა და ლიგირების)** შესყიდვა.

. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოსაცხადებელია ელექტრონული ტენდერი.

<u>კომისიის წევრებს დაურიგდათ სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია განსახილველად.</u>

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ **ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების (CPV კოდი 85100000)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

2. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

ვადასტურებ:

შოთა გოგიჩაიშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი;

მზია ნიკოლაიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, მთავარი ეკონომისტი.

ოთარ კიკვაძე – სატენდერო კომისიის წევრი, შესყიდვების მენეჯერი;

თამარ ჩაჩხუნაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვების სპეციალისტი;